საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თამარ ჭურაძე

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: იური აბაშიძე

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.06.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №058/23

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ გიორგი მჭედლიძის /სიითი №4797/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გიორგი მჭედლიძისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1.1 2023 წლის 26 ივნისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს თამარ ჭურაძემ და იური აბაშიძემ და მოითხოვეს ადვოკატ გიორგი მჭედლიძისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. თამარ ჭურაძე და იური აბაშიძე 2023 წლის 19 ივლისს დაესწრნენ საპროცესო კოლეგიის სხდომას. საპროცესო კოლეგიამ ზეპირ სხდომაზე,

თავად საჩივრის შემომტანი პირების პოზიციიდან გამომდინარე, დააზუსტა საჩივრის შემოტანაზე უფლებამოსილი პირი და განმარტა, რომ ეთიკის კომისიაში, საჩივარში დაფიქსირებული პრეტენზიიდან გამომდინარე, ადვოკატ გიორგი მჭედლიძის წინააღმდეგ საჩივრის შემოტანაზე უფლებამოსილი პირი არის თამარ ჭურაძე. საპროცესო კოლეგიამ მოსთხოვა იური აბაშიძეს შეხვედრის დატოვება და 2023 წლის 09 აგვისტოს სხდომაზე, ახსნა-განმარტება მოისმინა მხოლოდ თამარ ჭურაძისგან.

1.2 2023 წლის 04 დეკემბერს იური აბაშიძემ განხილვის კოლეგიას წარმოუდგინა მისდამი თამარ ჭურაძის მიერ 2023 წლის 03 დეკემბერს გაცემული მინდობილობა (N231660115), რომლის თანახმადაც იური აბაშიძე უფლებამოსილია, რომ ეთიკის კომისიაში წარმოადგინოს თამარ ჭურაძის ინტერესები. თამარ ჭურაძის წარმომადგენელმა, იური აბაშიძემ მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის მიერ 2023 წლის 04 დეკემბერსა და 25 დეკემბერს გამართულ განხილვის სხდომებში. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის ბოლომდე იზიარებს საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ საჩივარს და სურს, რომ განხილვის კოლეგიამ გადაწყვეტილების მიღების დროს იხელმძღვანელოს აღნიშნული საჩივარით და მათ მიერ წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტებებით.

1.3 საჩივრის ავტორს პრეტენზია აქვს თავის ყოფილ ადვოკატთან, გიორგი მჭედლიძესთან. საჩივრის თანახმად მომჩივანს ადვოკატის დახმარება დასჭირდა, სავარაუდო თაღლითური ქმედებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და წარმოქმნილ სამართლებრივ უთანხმოებაში საკუთარი ინტერესების დაცვისთვის.

1.4 საჩივრის თანამხმად, 2022 წელს თამარ ჭურაძესა და გიორგი მჭედლიძეს შორის შედგა საადვოკატო მომსახურეობის შესახებ ზეპირი შეთანხმება და 2022 წლის 02 ივნისს, ადვოკატის სახელზე, შეადგინა მინდობილობა. შეთანხმების შესაბამისად ადვოკატმა იკისრა ვალდებულება, კლიენტის ინტერესების დასაცავად, სავარაუდო თაღლითობის ფაქტზე, საჩივარი შეეტანა გენერალურ პროკურატურაში, ამასთანავე ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, თვალყური ედევნებინა მოკვლევის მიმდინარეობის პროცედურასა და კანონიერებაზე და ემოქმედა შესაბამისი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებით. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატი თამარ ჭურაძეს დაჰპირდა რომ 2 წლის განმავლობაში მათ გამოსახლებას, მათივე სარგებლობაში არსებული ბინიდან, ვერავინ შეძლებდა და რამდენიმე თვეში კლიენტს დაუბრუნებდა, მისთვის თაღლითური გზით წართმეულ 12 000 აშშ დოლარს. ადვოკატმა საპასუხოდ 1000 ლარის გადახდა მოითხოვა, რომელიც კლიენტმა, თავად ადვოკატის მითითებით, გიორგი მჭედლიძის ცოლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხა.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატთან დადებული ზეპირსიტყვიერი შეთანხმებიდან, მალევე მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ბინაში შეიჭრა ბინის მესაკუთრე და მას და მის ოჯახს აღარ მისცა ბინით სარგებლობის შესაძლებლობა. საჩივრის ავტორი დაუკავშირდა ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს, თუმცა, თამარ ჭურაძის განცხადებით, ადვოკატი გულგრილად მოეკიდა საქმეს და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისა და კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით ადგილზეც კი არ გამოცხადდა. საჩივრის თანახმად,

ადვოკატმა ვერ უზრუნველყო კლიენტისთვის მოტყუების გზით გამოძალული 12 000 აშშ დოლარის დაბრუნება და მისი დაპირების მიუხედავად, რომ ბინით სარგებლობას 2 წლის განმავლობაში შეძლებდა, რამდენიმე თვეში მოუწია უძრავი ქონების დატოვება.

1.6 საჩივრის თანახმად, მას შემდეგ, რაც მომჩივანმა ვერ მიიღო ადვოკატისგან რეალური დახმარება, მან მოსთხოვა გიორგი მჭედლიძეს, ყველა იმ დოკუმენტის გადაცემა რომელიც, მისივე განმარტებით, ადვოკატს შეტანილი ჰქონდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა ვერ წარმოადგინა ვერცერთი დოკუმენტი, რომელითაც ის დაადასტურებდა მის მიერ, მომჩივანის სახელით, შესაბამისი ორგანოსთვის მიმართვის ფაქტს. საჩივრის თანახმად, ადვოკატი გიორგი მჭედლიძე თამარ ჭურაძეს არ აწვდიდა საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციას, თავს არიდებდა მასთან კომუნიკაციას და უზიარებდა რეალობასთან შეუსაბამო ინფორმაციას, თითქოს გამოძიება უკვე დაწყებული იყო პროკურატურაში.

1.7 საჩივრის თანახმად, მომჩივანმა, მას შემდეგ რაც ადვოკატისგან ვერ მიიღო სათანადო დოკუმენტაცია, თავად გამოითხოვა ინფორმაცია გენერალური პროკურატურიდან, საიდანაც გაირკვა, რომ ადვოკატს მისი სახელით პროკურატურისთვის არასდროს მიუმართავს. ხოლო მას შემდეგ, რაც ადვოკატთან აღნიშნული საკითხი დააზუსტა, გიორგი მჭედლიძემ განმარტა, რომ მან განცხადება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შეიტანა და არა პროკურატურაში, მაშინ როდესაც წინა პერიოდში ის ხაზს უსვამდა მის მიერ განცხადების პროკურატურაში შეტანისა და პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყების ფაქტს. ამასთან, გიორგი მჭედლიძემ ვერც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შეტანილი განცხადება აჩვენა კლიენტს.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ, რაც მან ადვოკატის არაკეთილსინდისიერი ქმედებების შესახებ შეიტყო, მოსთხოვა მას გადახდილი თანხის - 1000 ლარის დაბრუნება, რაზეც გიორგი მჭედლიძემ უარი განაცხადა.

1.9 საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატ გიორგი მჭედლიძის მიერ დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და ითხოვს მის დისციპლინირებას.

2 ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ 2023 წლის 18 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება და მონაწილეობა მიიღო 2023 წლის 09 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაში. ადვოკატ, გიორგი მჭედლიძის განმარტებით, საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ იშუამდგომლა ეთიკის კომისიის მიერ 2023 წლის 04 დეკემბერს ჩანიშნული განხილვის სხდომის გადადების თაობაზე, რადგანაც მას სურდა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა და აღნიშნული მტკიცებულებების წარმოსადგენად სჭირდებოდა გონივრული ვადა, დაახლოებით 10 დღე. ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა განხილვის კოლეგიამ. 2023 წლის 25 დეკემბერს ადვოკატმა წარმოადგინა წერილობითი პოზიცია, სადაც აღნიშნა, რომ ვერ შეძლო დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არ ითხოვა სხდომის გადადება. 2023 წლის 25 დეკემბერს, ეთიკის კომისიის აპარატის იურისტთან სატელეფონო

საუბრისას, ადვოკატმა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლებს სხდომაში მონაწილეობის მიღებას, თუმცა არ სურს სხდომის გადადება და თანახმაა, რომ განხილვის კოლეგიამ მისი მონაწილეობის გარეშე ჩაატაროს სხდომა, ხოლო გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს მის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტებით.

2.3 ადვოკატმა დაადასტურა, რომ ის თამარ ჭურაძეს უწევდა საადვოკატო მომსახურეობას, ხოლო რაც შეეხება, იური აბაშიძეს, ის არასდროს ყოფილა მისი კლიენტი და მან მინდობილობა მხოლოდ თამარ ჭურაძესთან გააფორმა.

2.4 ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ დაადასტურა, რომ მან მომჩივანისგან აიღო საადვოკატო მომსახურეობისთვის შეთანხმებული თანხა - 1000 ლარი, ხოლო ზეპირი შეთანხმებით ადვოკატს ევალებოდა დაეცვა კლიენტის ინტერესები იმ შემთხვევაში, თუ მის წინააღმდეგ, ბინის სარგებლობასთან დაკავშირებით დაიწყებოდა სასამართლო დავა. ადვოკატის განმარტებით მან დამატებით შესთავაზა კლიენტს განცხადება შეეტანათ გენერალურ პროკურატურაში, რათა სავარაუდო თაღლითობის ფაქტზე დაწყებულიყო გამოძიება.

2.5 ახსნა-განმარტების თანახმად, ადვოკატი შეუთანხმდა კლიენტს, შეადგინა განცხადება და 2022 წლის ივნისში შეიტანა ის გენერალურ პროკურატურაში. გიორგი მჭედლიძემ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ გენერალურ პროკურატურაში განცხადებები მოათავსა საჩივრებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ყუთში. როგორც ადვოკატმა განმარტა, იმ პერიოდში კორონა ვირუსის პანდემიით განპირობებული ვითარების გამო, რადგან არ ხდებოდა საჩივრების რეგისტრაცია პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან, მან ვერ აიღო საჩივრის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. ადვოკატის განმარტებით, ის რამდენჯერმე, უშედეგოდ ეცადა ტელეფონის საშუალებით დაკავშირებოდა საგამოძიებო უწყებას, რათა შეეტყო განცხადებასთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე, ხოლო იმის შესახებ, რომ გენერალურ პროკურატურაში, მის მიერ შეტანილი განცხადება არ ფიქსირდებოდა, საჩივრით შეიტყო.

2.6 ადვოკატ გიორგი მჭედლიძის განმარტებით, სიცრუეა საჩივარში დაფიქსირებული პრეტენზია, თითქოს ის, კლიენტის თხოვნის მიუხედავად არ გამოცხადდა სადავო ბინასთან მას შემდეგ, რაც თამარ ჭურაძეს მისი ნების საწინააღმდეგოდ დაატოვებინეს ბინა. ადვოკატის განმარტებით, ასევე სიცრუეა ის, რომ თითქოს ის არ აწვდიდა კლიენტს სწორ და სრულ ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2023 წლის 09 აგვისტოს გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის მესამე საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გიორგი მჭედლიძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ, განხილვის ეტაპზე დადგინდებოდა, რომ ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ, კლიენტთან არსებული შეთანხმების მიუხედავად, არ მიმართა განცხადებით საქართველოს გენერალურ პროკურატურას და კლიენტს აწვდიდა არასწორ,

არასრულ ინფორმაციას, შესაძლოა ადვოკატ გიორგი მჭედლიძის მხრიდან დარღვეული იყოს შემდეგი ნორმები: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის, მე-2, მე-5, მე-6 ნაწილები და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი და 5-ე მუხლის "ა"ქვეპუნქტი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ, განხილვის ეტაპზე დადგინდებოდა რომ ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ სრულად აიღო შეთანხმებით განსაზღვრული საადვოკატო მომსახურეობის ჰონორარი, თუმცა არ გაუწია კლიენტს შეთანხმებით გათავლისწინებული მომსახურეობა, შესაძლოა დარღვეული იყოს შემდეგი ნორმები: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი:

4. საქმის ფაქტები:

4.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან და საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

4.1.1 თამარ ჭურაძე და გიორგი მჭედლიძე 2022 წლის მაისში ზეპირსიტყვიერად შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურეობაზე:

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის წერილობითი პოზიცია;
2. მხარეების ახსნა-განმარტება;
3. ეთიკის კომისიის 2023 წლის 25 დეკემბრის განხილვის სხდომის ოქმი;
4. საქმეში წარმოდგენილი, 2022 წლის 25 მაისის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი N1653195273.

4.1.2 ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ მისი კლიენტისგან ჰონორარის სახით აიღო 1000 ლარი, რომელიც მისმა კლიენტმა ჩარიცხა ადვოკატ გიორგი მჭედლიძის მეუღლის ანგარიშზე, თავად ადვოკატის თხოვნის საფუძველზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის წერილობითი ახსნა-განმარტება;
2. ადვოკატის წერილობითი პოზიცია;
3. გადახდის დამადასტურებელი ქვითარი N1653195273;
4. ეთიკის კომისიის 2023 წლის 25 დეკემბრის განხილვის სხდომის ოქმი.

4.1.3 შეთანხმების შესაბამისად ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს ევალებოდა განეხორციელებინა თამარ ჭურაძის ინტერესების დაცვა გამოძიებაში და ყველა ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ზეპირი და წერილობითი ახსნა განმარტებები;
2. საქმეში წარმოდგენილი, 2022 წლის 25 მაისის ორდერი N22-025.

4.1.4 ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ საჩივრის ავტორს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წერილობით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რათა დაწყებულიყო გამოძიება სავარაუდო თაღლითობის ფაქტზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ზეპირი და წერილობითი ახსნა განმარტებები;
2. ეთიკის კომისიის 2023 წლის 25 დეკემბრის განხილვის სხდომის ოქმი.

4.2 საქმეში დადგენილი სადავო ფაქტები:

4.2.1 ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს არ მიუმართავს წერილობით საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის.

ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ და საჩივრის ავტორმა ურთიერთსაპირისპირო განმარტებები წარმოადგინეს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შესატანი განცხადების შედგენის, აღნიშნული დოკუმენტის საქართველოს გენერალურ პრკურატურაში შეტანის და საქმის მიმდინარეობაზე კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ. საჩივრის ავტორის პრეტენზია იყოფა ორ ნაწილად: 1. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატს განცხადება არ შეუტანია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და 2. ის არ ფლობდა სწორ ინფორმაციას ადვოკატ გიორგი მჭედლიძის მიერ განხორციელებულ მოქმედებასთან დაკავშირებით. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე Nას-1294-1214- 2015). შესაბამისად, ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს ევალებოდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ მანდ შეადგინა განცხადება, ნამდვილად შეიტანა აღნიშნული განცხადება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, რაზეც სწორი ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს. პრეტენზიასთან დაკავშირებით, მოპასუხე ადვოკატი მხოლოდ წერილობითი და ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტებით შემოიფარგლა და წარმოადგინა გენერალური პროკურატურის სახელზე, 2022 წლის 05 ივნისს შედგენილი მისი განცხადების ასლი, რომლითაც ის ითხოვს გამოძიების დაწყებას და გამოძიების შედეგად გამოვლენილ შესაძლო ფაქტებზე სისხლის სამართლის

საქმის აღძვრას, მის მიერ, თამარ ჭურაძის სახელით შეტანილ განცხადებაზე, თუმცა საქმეში წარმოდგენილი არ არის საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი აღნიშნულ განცხადებაზე, ასევე საქმეში ფიგურირებს საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 11 აპრილის წერილი (N13/24655), რომლითაც დგინდება, რომ თამარ ჭურაძის სახელზე, საქართველოს პროკურატურაში რაიმე განცხადება ან საჩივარი არ არის შეტანილი. ამასთან, საპროცესო კოლეგიის წევრის კითხვაზე, მიმართა თუ არა ადვოკატმა წერილობით გენერალურ პროკურატურას ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით - თუ რა რეაგირება მოჰყვა საგამომძიებლო ორგანოში მის მიერ შეტანილ განცხადებას, ადვოკატმა განაცხადა, რომ მას არ მიუმართავს წერილობით პროკურატურისთვის. ამასთან, გიორგი მჭედლიძემ ვერ დაადასტურა, განცხადების საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შეტანის ფაქტიც. თავის მხრივ, საჩივრის ავტორმა საკუთარი პრეტენზიების დასამტკიცებლად, წარმოადგინა საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 11 აპრილის წერილი (N13/24655), რომლითაც დგინდება, რომ თამარ ჭურაძის სახელზე, საქართველოს პროკურატურაში რაიმე განცხადება ან საჩივარი არ არის შეტანილი. მომჩივანმა ასევე წარმოადგინა 2022 წლის 24 მაისს, სოციალური ქსელის Facebook-ის მესენჯერ აპლიკაციით შემდგარი მიმოწერა, სადაც ადვოკატი ადასტურებს, რომ მას ნამდვილად აქვს განცხადება შეტანილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხის გათალისწინებით, მანამ სანამ საპირისპირო არ დადასტურდება, იგულისხმება, რომ ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს, თამარ ჭურაძის სახელით არ მიუმართავს კომპეტენტური ორგანოსთვის. შესაბამისად, განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატ გიორგი მჭედლიძის, მხოლოდ ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტების გზით დაფიქსირებულ პოზიციას, რომ მან შეიტანა განცხადება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, მაშინ როდესაც ერთის მხრივ არსებობს მტკიცებულება, რომელიც ადვოკატის განმარტების საპირისპიროს ამტკიცებს, ხოლო თავად ადვოკატს მისი პოზიციის შესაბამისი არანაირი დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია განხილვის კოლეგიისთვის. შესაბამისად განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატმა გიორგი მჭედლიძეს არ მიუმართავს განცხადებით საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის.

4.2.2 კლიენტის წინაშე, 2022 წლის ივნისში ზეპირსიტყვიერ შეთანხმებით ნაკისრი საადვოკატო მომსახურეობის ვალდებულება, რომლის სანაცვლოდაც ადვოკატმა ჰონორარის სახით აიღო 1000 ლარი, არ ითვალისწინებდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განცხადების შეტანას სავარაუდო თაღლითობის ფაქტზე.

4.2.3 ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ და საჩივრის ავტორმა ურთიერთსაპირისპირო განმარტებები წარმოადგინეს იმასთან დაკავშირებით იყო თუ არა ადვოკატის მიერ განცხადების შეტანა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში თავდაპირველი ზეპირსიტყვიერი შეთანხმების საგანი, რომელსაც მხარეებმა 2022 წლის ივნისში მიაღწიეს და რომლის სანაცვლოდაც ადვოკატმა ჰონორარის სახით აიღო 1000 ლარი. საჩივრის

ავტორის თანახმად, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განცხადების შეტანა თავდაპირველი ზეპირსიტყვიერი შეთანხმების ნაწილი იყო და სწორედ ამ მომსახურების სანაცვლოდ გადაუხადა ადვოკატს 1000 ლარი ჰონორარის სახით. თავის მხრივ ადვოკატმა უარყო, რომ გენერალურ პროკურატურაში საჩივრის შეტანაზე მხარეს თავიდანვე შეუთანხმდა, არამედ განაცხადა, რომ მას ზეპირი შეთანხმებით ევალებოდა დაეცვა კლიენტის ინტერესები იმ შემთხვევაში, თუ მის წინააღმდეგ, ბინის მფლობელობასთან დაკავშირებით დაიწყებოდა სასამართლო დავა. ადვოკატის თანახმად, გენერალურ პროკურატურაში საჩივრის შეტანა, რათა დაწყებულიყო სავარაუდო თაღლითობის ფაქტზე გამოძიება იყო მისი ინიციატივა, რომელიც კლიენტს თავად შესთავაზა და არ იყო თავდაპირველი შეთანხმების ნაწილი, შესაბამისად მის მიერ აღებული ჰონორარის ფარგლებში მისი მოვალეობა არ იყო განცხადების გენერალურ პროკურატურაში შეტანა, არამედ ეს იყო უფასო მომსახურეობა, რომელიც მან შესთავაზა კლიენტს.

4.2.4 „გარემოება დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ერთი მხარე მიუთითებს მასზე და მეორე მხარე არ ეწინააღმდეგება ამ მითითებებს.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2022 წლის 07 ივლის მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე Nას-521-22). შესაბამისად მაშინ, როდესაც მხარეთა შორის არსებობს სადავო ფაქტები, მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება სადავო ფაქტის დადგენითვის არსებითი მნიშვნელობისაა.

4.2.5 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. „მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ის, თუ როდის გადადის მტკიცების ვალდებულება ერთი მხარიდან მეორეზე... ხოლო, ფაქტის მითითების და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან...“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე N ას-521-22).

4.2.6 „მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრობითობის პრინციპის სრულად რეალიზების პირობებში... საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, ხოლო სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ადგენს, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძელზე აკმაყოფილეებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.“ (საქართველოს უზეაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N ას-521-22).

4.2.7 შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, ვინც ადვოკატის მხრიდან პროფესიული ქცევის წესის დარღვევას უთითებს. მტკიცების ტვირთის აღნიშნული გადანაწილება, პირთა კეთილსინდისიერების პრეზუმციიდან მომდინარეობს, რაც იმას გულისხმობს, რომ „კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული

გარემოებების მტკიცების ტვირთი, საკანონმდებლო წესრიგიდან არსებული გადახრის მამტკიცებელ პირს ეკისრება“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/183-11). შესაბამისად, საჩივრის ავტორს, ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიისთვის მიეთითებინა ის ფაქტები და წარედგინა ის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მასსა და ადვოკატ გიორგი მჭედლიძის შორის არსებობდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ადვოკატს მის მიერ აღებული ჰონორარის ფარგლებში უნდა შეეტანა განცხადება გენერალურ პროკურატურაში.

4.2.8 საჩივრის ავტორს, გარდა საკუთარი ახსნა განმარტებისა არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ მითითებული ფაქტის სისწორეს. მხარეები საადვოკატო მომსახურეობის შესახებ წერილობითი ფორმით არ შეთანხმებულან (იხილეთ პარაგრაფი 4.1.1), რაც მისცემდა კოლეგიას შესაძლებლობას შეეფასებინა და გამოერკვია, მხარეთა ნება, სადავო საკითხთან დაკავშირებით. ადვოკატმა უარყო გასაწევი მომსახურეობისა და აღებული ჰონორარის ურთიერთკავშირის ფაქტი. შესაბამისად, არ დგინდება, რომ ადვოკატს მის მიერ აღებული ჰონორარის ფარგლებში, კერძოდ კი 1000 ლარის ფარგლებში უნდა შეეტანა განცხადება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

5. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და ადგენს, რომ ადვოკატ გიორგი მჭედლიძის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, კერძოდ კი დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის და მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2, მე-5, მე-6 ნაწილები.

6. **სამართლებრივი შეფასება:**

6.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა რომ ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ დაარღვია კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობისა და საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულებები, ვინაიდან ადვოკატმა არ შეიტანა განცხადება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და კლიენტს არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია საქმის მიმდინარეობაზე:

„ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია... რომელიც დაკავშირებულია მისი საქმეების წარმოებასთან“. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი).

„ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

„ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში. („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი).

„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“. („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი).

„ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“. („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი).

6.2 „ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოიშობა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალებით, საკუთარი ცოდნის და გამოცდილების გამოყენებით, რათა კლიენტმა მიიღოს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურება“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის“ 27.02.2020 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №005/20).

6.3 „ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად“ (ეთიკის კომისიის 22.10.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №051/19).

6.4 „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით“ (ეთიკის კომისიის 18.02.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №151/18).

6.5 „ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. კლიენტს საშუალება უნდა ჰქონდეს თავადაც დაუკავშირდეს ადვოკატს და ადვოკატი არ უნდა უზღუდავდეს კლიენტს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად“ (ეთიკის კომისიის 28.01.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №074/10).

6.6 მიუხედავად ზოგადი დანაწესისა, რომ მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, ინფორმირების ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი ადვოკატზე გადმოდის (ეთიკის კომისიის 2019 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №141/18).

6.7 თამარ ჭურაძემ და ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ ურთიერთსაპირისპირო ახსნა-განმარტებები წარმოადგინეს კლიენტის ინფორმირების თაობაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი არწმუნებდა, რომ მან მიმართა განცხადებით საქართველოს გენერალურ პროკურატურას, თუმცა რეალურად აღნიშნული განცხადებით მას არ მიუმართავს საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის. ადვოკატმა მიუთითა, რომ მან განცხადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და მის მიერ კლიენტისთვის მიწოდებული ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე იყო ზუსტი. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად საჩივრის ავტორმა წარმოადგინა საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული 2023 წლის 11 აპრილის წერილი (N13/24655), რომლითაც დგინდება, რომ თამარ ჭურაძის სახელზე, საქართველოს პროკურატურაში რაიმე განცხადება ან საჩივარი არ არის შეტანილი. მომჩივანმა ასევე წარმოადგინა 2022 წლის 24 მაისს, სოციალური ქსელის Facebook-ის მესენჯერ აპლიკაციით შემდგარი მიმოწერა, სადაც ადვოკატი ადასტურებს, რომ მას ნამდვილად აქვს განცხადება შეტანილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. თავის მხრივ, ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი დოკუმენტი, რაც გააქარწყლებდა საჩივრის ავტორის პრეტენზიებს შეთანხმებული დოკუმენტის მომზადებასა და საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეტანის თაობაზე. განხილვის კოლეგიის შეფასებით, მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს, რომელიც ამტკიცებს, რომ ახდენდა კლიენტის ინფორმირებას და არა მომჩივანს, რომელიც უარყოფს ადვოკატის მხრიდან ინფორმაციის მიღებას. შესაბამისად, მოპასუხე ადვოკატმა უნდა წარუდგინოს კომისიას დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულება, რომ ახდენდა კლიენტის ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე და სწორ ინფორმაციას აწვდიდა თამარ ჭურაძეს. ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ის კლიენტს დროულად და სწორად აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ადვოკატის განმარტების გარდა საქმეში არ არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რაც კომისიას მისცემდა შესაძლებლობას დაედგინა ადვოკატის მხრიდან კლიენტის სწორად ინფორმირება საქმის მიმდინარეობის თაობაზე. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ადვოკატმა არ მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში სრულფასოვნად გასარკვევად. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის წევრის კითხვაზე, მიმართა თუ არა მან წერილობით გენერალურ პროკურატურას ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით - თუ რა რეაგირება მოჰყვა საგამომძიებლო ორგანოსი მის მიერ შეტანილ განცხადებას, ადვოკატმა განაცხადა, რომ მას არ მიუმართავს წერილობით პროკურატურისთვის, რაც ასევე არ წარმოადგენს კლიენტის საქმის გულისხმიერად წარმოებას. ადვოკატი ორიენტირებული უნდა ყოფილიყო კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით დაეცვა მისი კლიენტის საუკეთესო ინტერესები; კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოეყენებინა კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება და თვალი ედევნებინა საქმის მიმდინარეობაზე

6.8 განხილვის ეტაპზე დადგინდა, რომ ადვოკატმა გიორგი მჭედლიძემ, არ შეიტანა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განცხადება და კლიენტს მიაწოდა რეალობასთან შეუსაბამო

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მიმართა გენერალურ პროკურატურას, რაც ამტკიცებს, რომ ადვოკატი არ აწვდიდა კლიენტს სწორ, გადამოწმებულ და რეალობასთან შესაბამის ინფორმაციას საქმეზე.

6.9 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს, ევალებოდა თამარ ჭურაძესთან არსებული შეთანხმების შესაბამისად, სრულად განეხორციელებინა კლიენტის ინტერესების დაცვა და მიეწოდებინა მისთვის სწორი და გადამოწმებული ინფორმაცია საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მას, შეთანხმების შესაბამისად, უნდა წარედგინა განცხადება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და საკუთარი კლიენტის ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, თვალყური ედევნებინა მიმდინარე პროცედურებისთვის. ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს, როგორც კლიენტის უფლებების დამცველს, ერთის მხრივ თავად ევალებოდა ჰქონოდა სრული ინფორმაცია კომპედენტური ორგანოს მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე, ხოლო მეორეს მხრივ, თამარ ჭურაძისთვის მიეწოდებინა საქმეზე დეტალური ინფორმაცია.

6.10 შესაბამისად, ადვოკატ გიორგი მჭედლიძის მხრიდან დგინდება კლიენტისთვის კეთილსინდისიერი მომსახურეობის გაწევისა და მისთვის საქმესთან დაკავშირებით, სრული და უტყუარი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებების დარღვევა, განსაზღვრული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2, მე-5, მე-6 ნაწილებითა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით.

6.11 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ გიორგი მჭედლიძის მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა, ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“. („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი).

6.12 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული

მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N057/17)

6.13 საქმის განხილვის ეტაპზე დადგინდა, რომ მხარეებმა საადვოკატო მომსახურეობის შესახებ ხელშეკრულება ზეპირსიტყვიერად დადეს, ხოლო შეთანხმების შესაბამისად ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს ევალებოდა, დაეცვა კლიენტის ინტერესები იმ შემთხვევაში, თუ მის წინააღმდეგ, ბინის სარგებლობასთან დაკავშირებით დაიწყებოდა სასამართლო დავა. ადვოკატმა კლიენტისგან სრულად მიიღო, ზეპირი შეთანხმებით განსაზღვრული, მომსახურეობის საფასური - 1000 ლარი. თავის მხრივ, საქმის განხილვის ეტაპზე დადგინდა, რომ ადვოკატ გიორგი მჭედლიძეს, თამარ ჭურაძის სახელით, სავარაუდო თაღლითობის ფაქტზე არ მიუმართავს განცხადებით საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის

6.14 განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზიის თანახმად, ის ადვოკატის მიერ მის მიერ აღებული ჰონორარის დაბრუნების ვალდებულებას უკავშირებდა იმ ფაქტს, რომ მან განცხადებით არ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რაც ადვოკატის ვალდებულება იყო ზეპირსიტყვიერი შეთანხმებით და სწორედ აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად გადასცა მას ჰონორარის სახით 1000 ლარი. ადვოკატმა წარმოდგინა განსხვავებული პოზიცია და აღნიშნა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის განცხადებით მიმართვა არ იყო თავდაპირველი შეთანხმების ნაწილი და ჰონორარის ფარგლებში მას არ ევალებოდა აღნიშნული ქმედების განხორციელება, არამედ ეს იყო ცალკე შეთანხმების საგანი, რომელიც ადვოკატმა უსასყიდლოდ შესთავაზა კლიენტებს და მათაც განაცხადეს თანხმობა.

6.15 განხილვის ეტაპზე საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა რომ მასსა და ადვოკატ გიორგი მჭედლიძის შორის არსებობდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ადვოკატს მის მიერ აღებული ჰონორარის ფარგლებში უნდა შეეტანა განცხადება გენერალურ პროკურატურაში.

6.16 განხილვის კოლეგიამ სარწმუნო და ცხად მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვერ დაადგინა, რომ ადვოკატს მის მიერ აღებული ჰონორარის ფარგლებში უნდა შეეტანა განცხადება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, შესაბამისად როდესაც საჩივრის ავტორი თავის პრეტენზიაში სწორედ აღნიშნულ გარემოებას მიუთითებს, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატს საჩივრის ავტორისთვის არ წარმოეშობა თანხის დაბრუნების ვალდებულება.

6.17 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება (მუხლი 2.5) პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე,

საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

6.18 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 01.04.2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე Nდს–შ/3–15).

6.19 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 22.05.2017 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე Nდს-შ/3-17).

6.20 შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა საქმეში მოცემული გარემოებებით, მხედველობაში მიიღო მოპასუხე ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი გადაცდომის მიმართ, ადვოკატის პროფესიისადმი მიყენებული ზიანი, ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავსი ტიპის დისციპლინური გადაცდომების მიმართ (ეთიკის კომისიის 2022 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე N075/22; ეთიკის კომისიის 2022 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე N021/22 (აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, რომელმაც 28.02.2023 წლის გადაწყვეტილებით ძალაში დატოვა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, სადაც ადვოკატს დაეკისრა გაფრთხილება ინფორმირების და კვალიფიციური მომსახურების ვალდებულების დარღვევის გამო, დისციპლინური საქმე Nსსდ-03-23)) ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და ადგენს, რომ ადვოკატ გიორგი მჭედლიძის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის მას უნდა განესაზღვროს დისციპლინური სახდელი გაფრთხილების სახით, რაც მისი ქმედებიდან გამომდინარე, წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის პროპორციულ ფორმასა და ზომას.

6.21 მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ ადვოკატს არ აქვს დადებული რაიმე სახის გაუქარწყლებელი სახდელი, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის. თუმცა საქმეშია ადვოკატის მიერ ჩადენილი ერთზე მეტი დისციპლინური გადაცდომა, რომლის აღიარება და შედეგების გამოსწორებისთვის მზადყოფნა ადვოკატს არ განუცხადებია. ამ პირობებში ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ კერძო

სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიმართ გამოყენებული იქნეს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

6.22 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1(ა)-ე, 35-ე, 35^1-ე, 36-ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.5, 4.6, 19, 20, 33, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №058/23 დადგინდეს ადვოკატ გიორგი მჭედლიძის /სიითი №4797/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. დისციპლინურ საქმეზე №058/23 ადვოკატ გიორგი მჭედლიძის /სიითი №4797/ მიმართ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/